№ 2673
ოთხშაბათი,
17 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2673
ოთხშაბათი,
17 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი" მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
ერთის წლით 6 მანეთი.	ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე" მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.	1 წლით—13 მ., ცალკე №—1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ აგალიშვილის მიერ და შედარებული ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ იწერებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ქალაქს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

ქართული წარმოდგენა. ხასაზინოს თეატრი.

ოთხშაბათს, 17 ნოემბ., ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესები

I
საქმის კაცი
დრამა 3 მოქ. თხზ. მირბოხი, თარ. ვლ. ლორთქიფანიძისა.

II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია,
ვოდ. 1 მოქმ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, ივანიძე, კ. მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, შალიკაშვილი, შათირიშვილი, ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. შემდეგი წარმოდგენა ბენეფისი ვ. აბაშიძისა. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ხ. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ბ. ფ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მკ. ქალი ნ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვ. ა. ბილინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. ნ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.

ვ. ხ. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მკ. ვ. ხობოლდემხიძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთ:

ვ. ვ. ხობოლდემხიძე.—ხირურგია და ორტოპედია. ხუთშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მოერიგებათ. კრავატები დღეში [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეორე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б. ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ილ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათდე. (თვ.—5.—31)

ექიმი
ი. ე. ზამბურიძე
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—12)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—21)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—11)

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს-ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—24)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მოთხოვნისთანავე უფასოთ ეგზავნება.

გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში ისყიდება სააგარაკო მამული. ცხრა დღიური სახნავ-სათესი და ერთი დღიური ვენახი. მამული შემკულია წყაროებით და ყოვლად შესაფერია მოაგარაკეთათვის. პირობების შეტყობა შეიძლება სადგურ ქიურდამირის უფროსის ვლადიმერ მიხეილის ძე ტატიშვილისაგან. (3—5.—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
15 ნოემბერი

მუკდენი, 15 ნოემბერი (საკუთარ. კორესპონდენტისაგან). ამბობენ, ცინჯაუში იაპონელები მიწის მოხრელთა არტელებს ქირაობენო. ტიანძუანსა და კოუბანძში იაპონელები სჩხრეკენ იმათ, ვინც ინკოუდან მოდიან. ამასთან ნებას არ აძლევენ, თან წაიღონ 10 ლინ ვერცხლზე მეტი. ანდუნსა, დაგუშანსა, ფინხუანჩენსა და ინკოუში და რამდენიმე ლიაოიანშიაც წინანდელ ძლიერ მეციხოვნეთა ნაცვლად იაპონელებმა სუსტი რაზმები დააყენეს. უმთავრესს ყურადღებას იაპონელები პორტ-არტურს აქცევენ. რკინის გზის დასავლეთით კავალერიასა ჰგზავნიან. გუშინ მოგერებულ იქნა იაპონელთა იერიში ლინშინპუზე.

ლონდონი, 15 ნოემბერი („რეიტერი"). ლივერპულის სავაჭრო პალატის მიმართ გაგზავნილ წერილში ლანსდოუნი ამბობს: საყურადღებოს ვეღარაფერს დავუმატებ იმას, რაც ამ საქმის გამო გამოვაქვეყნეო. ინგლისი კვლავინდებურად იმ აზრისაა, რომ ნახშირი, ბამბა და მანქანები არ შეიძლება კონტრაბანდად ჩაითვალოს. დღემდე რუსეთი ნახშირს სათუო კონტრაბანდად არა სთვლიდა. არ დაეთანხმა რუსეთი აგრეთვე ინგლისის ელჩის წინადადებებს დაუმუშავებელ ბამბის შესახებ. რაც შეეხება მანქანებს, რომელიც ინგლისელთა გემს „კალხას"-ზე აღმოჩნდა, კონტრაბანდად ჩაითვლება მანქანები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ იგი ომის საჭიროებისთვის არის დანიშნული. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, სავალდებულოდ არა ვთვლი უმაღლესს საპრიზო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ადვილად შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო უფლების მიერ დაკანონებულ პრინციპებსაო. მთავრობა მხნედ დაუჭერს მხარს ინგლისის იმ ქვეშევრდომთა პრეტენზიებს, რომელთა ინტერესებიც დაზარალდება ამ გადაწყვეტილებებით. საჭიროა გავიხსენოთ, რომ სექტემბრამდე, როდესაც რუსეთმა თავის საზღვაო აფიცრებს ახალი დარიგება მისცა, ეს აფიცრები სხვანაირად იქცეოდნენ და ისე არა ჩხრეკავდნენ გემებს, რომ ინგლისს უკმაყოფილება განეცხადებინაო. ლანსდოუნმა დაუმატა, მალე გამოვაქვეყნებთ მიწერ-მოწერას კონტრაბანდის შესახებაო. ლანსდოუნმა წერილი გაუგზავნა გემის პატრონთა პალატას, სავაჭრო პალატებს და ზოგიერთ სხვა საზოგადოებას და აცნობა ის მოვალეობანი, რომელიც გემის პატრონთ ადევთ ნეიტრალიტეტის დასაცველად ამ ომის დროს. წერილში ჩამოთვლილია სასჯელი, რომელიც გადახდებათ გემის პატრონთ ეგრედ წოდებულ კანონის—„ფორეინ ენლისტმენტ ეკტ 1870"-ის დარღვევისთვის.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე, 14 ნოემბერს 1904 წელს: „ცინხეჩენის რაზმიდან დღეს დილის 7 საათზე დაწერილი მოხსენება მივიღე. ღამემ წყნარად ჩაიარაო. დილის 6½ საათზე იაპონელებმა ხელ-ახლად იწყეს იერიშის მიტანა და მარცხენა ფრთაზე 7 საათზე თოფის სროლა ასტყდა. 12 ნოემბრიდან წუხან ღამემდე ჩვენ რაზმს 11 სალდათი მოუკლეს და 62 დაუჭრეს; ამას გარდა კიდევ ბევრნი არიან დაჭრილნი, რომელთაც რაზმში დარჩენა მოინდომეს. იაპონელებს, რაზმის უფროსის აზრით, დიდი ზარალი მოუვიდათ. 100-ზე მეტი იაპონური თოფი ჩაიგდეთ ხელში. მოკლულთა მუნდირების ნიშნებზე ეტყობა, რომ რაზმის ცენტრისა და მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ იაპონიის მე-7 სარეზერვო პოლკს უბრძოლნია. 13 ნოემბერს საღამოს ჩვენის არმიის ცენტრში შაჰეზე შტაბს-კაპიტანი მანკოვსკი 7 მოხალისით ცოცვით მიეპარა მტრის დარაჯებს და ერთი იაპონელი უნტერ-აფიცერი დაატყვევა სადარაჯო რაზმის წინ გამოსული. ტყვემ ყვირილი დაიწყო, დანარჩენი მოდარაჯენი გაიქცნენ, ამ დროს ორი დარაჯი დასჭრეს. დარაჯების შემდეგ გაიქცა იაპონელების ორი როტაც, რომელიც პოზიციაზე მუშაობდა. დღეს ზარბაზნებს ვესროდით იაპონელების სანგრებს".

გენერალ-ლეიტენანტ სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს 15 ნოემბერს 1904 წელს: „14 ნოემბერს დილით იაპონელებმა ცინხეჩენთან ხელ-ახლად მიიტანეს იერიში ჩვენ რაზმზე, მაგრამ ჩვენ ზარბაზნი დავუშინეთ და შევაყენეთ. საღამოს 6 საათზე ბრძოლა შედგა; იაპონელები 600 ნაბიჯზე ახლო ვერსად ვერ მიუახლოვდნენ რაზმსა. ბრძოლის დროს ქარ-ბუქი ასტყდა და ბრძოლა შედგა. ნაშუადღევის 3 საათსა და 10 წამზე გამოირკვა; გაიგეს, რომ იაპონელებს ჩვენის პოზიციის მარჯვენა ფრთისათვის გვერდიდან მოევლოთ. მტრის 3 როტას ჯერ ხეობიდან გამოსვლა ვერ მოესწრო. ჩვენმა 4 ზარბაზანმა ყუმბარა დაუშინა და უკან დაახევინა. გუშინ მცირე ზარალი მოგვივიდა. დატყვევებულ იაპონელებს ფუფაიკა აცვიათ, მუნდირი და პალტო კარგის აქლემის მატყლისა ბეწვის სარჩულით. 14 ნოემბერს საღამოს მოხალისეთა რაზმებმა კაპიტან კოტლუბეის უფროსობით სოფ. ნანგანცი დაიჭირეს პუტილოვის გორის წინ და 20 წამი ეჭირათ, თუმცა მტერი თოფს უშენდათ; მოხალისეებმა ერთის მტრის სიმაგრის ქვეშ ასაფეთქებელი მასალა ჩააწყეს, რადგან იაპონელები ამ სიმაგრიდან თოფს უშენდნენ ხოლმე ჩვენ მოდარაჯე რაზმებს. მოხალისეთა რაზმები უკან გამობრუნდნენ, და ეს სიმაგრე ააფეთქეს. სოფ. ცანგანცზისა და იმის ახლო ხევს, სადაც ჩვენის რაზმების წამოსვლის შემდეგ მტრის ჯარი ჩადგა, თოფი დავუშინეთ. ჩვენ ერთი სალდათი მოგვიკლეს. 14 ნოემბერს ღამით ბრძოლა არ მომხდარა."

მუკდენი, 15 ნოემბერი (საკუთ. კორ.). ამბობენ, რომ სათადარიგო ჯარისკაცების დამატებითი გაწვევამ ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია კუნძულ კიუსიუსა და ოსაკაზეო. ალბად ამიტომაა, რომ კუროკის ჯარს გაუწვრთნელ რეკრუტებით ავსებენ. როგორც ისმის, ხაიცეპუსთან ძველის ტიპის საალყე ზარბაზნებია დადგმული.

ადესა. მესამე არმიის უფროსი ბარონი კაულბარსი დღეს მუკდენს წავიდა. ბარონს თან ახლავს მისი შტაბის ათი აფიცერი; ეს შტაბი ადესაშია შედგენილი.

ტოკიო, 14 ნოემბერი („რეიტ სააგ."). რუსის ორი მატროსის გვამი დაასაფლავეს ნაგასაკში.—8 ნოემბერი. ორის დაჭრილთაგან, რომელნიც „რიურიკ"-დან წაიყვანეს იაპონელებმა, ხუთი მოკვდა; დანარჩენთაგან ყველა რჩება.

ტოკიო, 15 ნოემბერი („რეიტ. სააგ."). დღეს პარლამენტი შეიკრიბა. ოფიციალური გახსნა პარლამენტისა მიკადოს სეფე-სიტყვით ხვალ მოხდება.

შერბურგი. 15 ნოემბერი. დღით მოსული საფოსტო გემი დილის 9 საათზე შეხვედრია 20 მილის მანძილზე სტარპოინტის სამხრეთის დასავლეთით მიმავალ რუსის კრეისერებსა და ნაღმიან გემებს.

ლონდონი, 15 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტომ" პეშავერიდან 24 ოქტომბრის თარიღით წერილი მიიღო. როგორც ქაბულიდან იუწყებიან, ემირმა ურჩია მოსაზღვრე პროვინციების გუბერნატორებს, ფრთხილად და ფხიზლად იყვნენ. ამასთან ემირი აძლიერებს საზღვრების დასაცველად ჯარს და 20,000 კაცსაც გერატში ჰგზავნის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
16 ნოემბერი

ბერლინი. 15 ნოემბერი. პორტ-არტურის უკანასკნელ იერიშის შესახებ „ლოკალ-ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბრძოლა ეხლა ხელ-ჩართულია; რუსები გმირულ წინააღმდეგობას უწევენ. გენერლები მაკამურა და საიტო ხელმძღვანელობენ საგანგებო რაზმებს, რომელნიც საფრანგეთის იმპერიის დროის პიონერების მიბაძვით არიან შედგენილი; ჯარის-კაცებს თვალებზე ჩამოფარებული ჩაჩუტები და განსხვავებული კავებიანი ჯავშანი აქვთ.

ირკუტსკი, 15 ნოემბერი. დღეს საგანგებო მატარებლით ირკუტსკზე გაიარა მეორე არმიის უფროსმა გრიპენბერგმა.

ადესა, 15 ნოემბერი. დღეს წავიდა მესამე არმიის უფროსი ბარონი კაულბარსი. უფროსის სასახლეში პარაკლისი გადაიხადეს. ბარონ კაულბარსს დასაკეცი ოქროს ხატი მიართვეს. ვოკზალზე ჯარი და ხალხი იდგა და მიმავალს სალამს აძლევდა. სადგურზე იყვნენ ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გენერლიტეტი. მოიტანეს მშვენიერი აბრეშუმის დროშა ადესის ღერბით და წარწერით—„ჩვენთანაა არს ღმერთი". გუბერნიის მარშალმა წაიკითხა ადრესი, რომელიც ხელმოწერილი იყო დიდძალ ხალხის მიერ. გრადონაჩალნიკი ნეიდგარტი მიესალმა ბარონ კაულბარსს და გადასცა დროშა. ბარონმა მადლობა შესწირა და სთქვა: „არ დავზოგავ სიცოცხლეს, რომ ამ დროშის წვერი გულში შეუვიდეს დამარცხებულ წიქცეულ მტერს". ქალაქის თავმა მიართვა ხატი. ვოკზალზე ათი ათასობით იყო ხალხი, ჩამწკრივებული იყვნენ იუნკრები და კადეტები. ბარონი გრძნობით გამოეთხოვა გამცილებელთ. მატარებელი დაიძრა და ხალხმა ძლიერი „ურა" დასძახა.

ომის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო"-ს: ეს ეს არის პორტ-არტურიდან მოსული ვაჭარი ნოვოგრადსკი ვნახეო. ჯონკით გამოსულიყო პორტ-არტურიდან, იაპონიის ორ ნაღმიან გემს დაეჭირათ, დაეტუსაღებინათ, დალნიში მიეყვანათ და იქ 10 დღე დატუსაღებული ჰყოლოდათ კარგ აივნიან სახლში. ნოვოგრადსკის მშვენივრად ექცეოდნენ, რუსულ საჭმელებს აჭმევდნენ და სადილად ღვინოს ასმევდნენ. აფიცრების კომისიას ადმირალის თავმჯდომარეობით ჩვენება ჩამოურთმევია ნოვოგრადსკისათვის; ეგონათ, იქნება მეზღვაური აფიცერი იყოსო, მაგრამ ბოლოს ერთს იაპონელს უცვნია ნოვოგრადსკი და უთქვამს, ეგ პორტ-არტურში მინახავსო. დალნი ძლიერ გაუმაგრებიათ იაპონელებს: ზღვის პირას ბეტონის საძირკველზე 6 დიუმიან ზარბაზნების ბატარეები დაუდგამთ. ნავთ-სადგურშიაც, ეტყობა, ნაღმები ჩაუწყვიათ. დალნიდან ნოვოგრადსკი სასებოში წაუყვანიათ. შორიდან ტყვე რუსები დაუნახავს და გაუგია, რომ მასუიამაში ტყვე რუსებს კარგად ინახავენ და კარგად ექცევიან, ეგაა თვალს არ აშორებენო. ორი დატყვევებული კორესპონდენტი ტიგიევი და კუპჩინსკი კარგად არიან თურმე და სხვა ტყვეებთან მასუიამაში ცხოვრობენ. სასებოდან ნოვოგრადსკი ნაგასაკში გადაიყვანეს, გაანთავისუფლეს და ერთს სასტუმროში დაასახლეს. ნაგასაკში რამდენიმე რუსი სახლის პატრონი დარჩენილა. ხალხი მშვენივრად ექცევა თურმე, არაფერს არ უშავებს, არ აწყენინებს და იმათ უფლებას არ არღვევს...

29 ნოემბერს ხარბინში ცნობა მიიღეს, ვითომ იაპონელმა გენერალმა ოკუმამ და პოლკოვნიკმა სიბატომ სოფ. შელინტანში, სინმინტინიდან 85 ვერსტზე, კანტორა გახსნეს ჩინელებში სალდათების მოსავროვებლადაო. იაპონელებმა ასი ათასობით პროკლამაცია გამოსცეს და ჩინელებს იაპონიის ზაირად ქვეშ რუსების წინააღმდეგ ბრძოლა ურჩიეს:—ჩინელებსა და იაპონელებს ერთი სარწმუნოება და თითქმის ერთნაირი ენა აქვთო. პირველ ხანში იაპონელებთან დღეში 7 ათასი ჩინელი მიდიოდა და მაშინვე იაპონურ სამხედრო ფორმას იცვამდა. მაგრამ ჩინეთისა და იაპონიის ჯარს, ალბად, რაღაც უთანხმოება მოუვიდა და ეხლა დღეში ათასზე მეტი მსურველი აღარ შედის იაპონიის ჯარში. ყველა ჩინელს, ვინც კი იაპონიის ჯარში შედის, თვეში 40 დოლარს უნიშნავენ ჯამაგირად. ამ ჩინელებს ჯერ ინკოუში ჰგზავნიან და მერე ნაწილ-ნაწილად არმიაში ისტუმრებენ. („რ. ვ.").

პორტ-არტური. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო მიმომხილველი გრაფ რევენტლოვი სწერს რუსულ გაზ. „რუსკი ლისტოკ"-ში (რევენტლოვი ხან და ხან ამ გაზეთშიაც ჰბეჭდავს თავის წერილებს): „გაზეთებში ცნობა იყო დაბეჭდილი, თუ იაპონელები პორტ-არტურის აღმოსავლეთ ნაწილს აიღებენ, გენ. სტესელი ლიაოტეშანის მთაზე გადავა და იქ გამაგრდებაო. ეს ცნობა დასაჯერებელი არ არის. ლიაოტეშანი ვეფხვის ნახევარ კუნძულის ბოლოს შეადგენს და მეტად მაღალი ადგილია. ამ მთაზე ომის დაწყების შემდეგ რუსებმა უმავთულო ტელეგრაფის სადგური გამართეს და იაპონიის ფლოტის მოძრაობასაც ამ მთიდან ადევნებდნენ თვალყურს. მართალია ლიაოტეშანი გამაგრებულიცაა, მაგრამ ბევრი ჯარი იქ დიდხან. ვერ წავა იოლად და ვერ დაიცავს თავსა. ჯერ ერთი რომ ლიაოტეშანი არც თუ ძლიერ იქნება გამაგრებული; რამდენადაც ვიცით, ამ მთაზე მკვიდრი ფორტები არ უნდა იყოს აგებული. ამას გარდა, რუსებს ლიაოტეშანზე უფრო გაუჭირდებათ საკვებ და სამხედრო სურსათისა და სასმელ წყლის მიტანა. დასასრულ, სადგომებს ჯარის საცხოვრებლად ხომ სულ ვერ იშოვიან, ასე რომ, ჩემის აზრით, ლიაოტეშანს ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს პორტ-არტურის ციხისათვის, როგორც ზოგსა ჰგონია, ან არა და უნდა ვიფიქროთ, რომ რუსებმა ომამდე ეს მთაც ძლიერ გაამაგრეს და იქ მკვიდრი ფორტები ააგეს".

როგორც ვიცით, ბევრნი სხვანიც ჰფიქრობენ, პორტ-არტურის ბედი ციხის

აღმოსავლეთ ნაწილში გადასწყდება და არა ლიაოტეშანზე. რაკი იაპონელები პორტ-არტურის არსენალსა, დოკებსა, ქარხნებსა და საწყობებს აიღებენ, ლიაოტეშანზე გამაგრებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებათ.

ბრძოლა იანტაისთან 16—30 სექტემბერს. „ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი სწერს: ჩვენ რაზმსა და იაპონელებს შუა ერთი ველია გასავლელი; ამ ველს განი 1—1½ ვერსი ექნება. გუშინ გენ. შტაკელბერგმა ჩვენი პოზიციები დაიარა გორებზე. გენერალი თეთრის ფაფახით თეთრს ცხენზე იჯდა; თან დიდი ამალა ახლდა. ერთ გორაზე კაუფმანილელივ ავედით; იაპონელებმა მაშინვე თოფი გვესროლეს და ორი ცხენი დაგვიჭრეს; მეტად ბეჯითად გვადევნებენ თვალყურს. რა მშვენივრად ჰმალავენ თავიანთ სანგრებსა და სიმაგრეებს; კარგის ბინოკლითაც ძნელად გავარჩიეთ ხოლმე იმათ სანგრებს, 1—2 ვერსის სიშორიდანაც-კი. ბოლოს დროს შევნიშნეთ, რომ იაპონელები სანგრებს ორ რიგად აშენებენ. პირველი რიგი სანგრები უფრო აშკარად იმართება, მაგრამ იქ ჩვეულებრივ ჯარს არ აყენებენ, იქ მხოლოდ საფრთხობელებს („ჩუჩელოებს") სდგამენ. ნამდვილად-კი იაპონელი მსროლელნი მეორე რიგის სანგრებში სხედან პირველ რიგის უკან. ეს სანგრები ისეთის მიხერხებითაა გამართული, რომ თვალით თითქმის ვერ დაინახავთ. იაპონელები შესანიშნავის მედგრობით იბრძვიან და იგერიებენ მტერს ამ სანგრებში. ბენსიხუს მიდამოებთან ბრძოლის დროს (26—30 სექტემბერს) საკვირველის მამაცობით იგერიებდნენ მამაც ციმბირელ მსროლელთა იერიშს. სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, იაპონელებმა ამ ბრძოლის დროს მშვენივრად დააფასეს ორ-სამ გორის მნიშვნელობა. შესანიშნავად ამოირჩიეს ორი-სამი მაღალი გორა, ზედ გამაგრებულიყვნენ და ისე დაჰყურებდნენ იქიდან ირე-ძარეს, როგორც ბატონი თავის მამულს. ძლიერ ეცადნენ რუსის მსროლელნი ამ გორებზე ასვლას, მაგრამ ვერას გახდნენ. იაპონელები სანგრებიდან გულ და გულ ესროდნენ რუსებს. რუსები უყოყმანოდ ყიჟინით ადიოდნენ თითქმის ტიტველ გორებზე, ზოგჯერ კანტიკუნტად „ურა"-ს ძახილიც ისმოდა, მაგრამ მარქაფა ჯარი ბეჯით დახმარებას ვერ უწევდა იერიშის მიმტანთ და გორების აღება ვერ მოხერხდა. თითო-ოროლა კაცს, ვინც მაღლა ადიოდა, იაპონელები თოფს ესროდნენ და ჰკლავდნენ. ცოტა ხნის შემდეგ სხვა სალდათები ადიოდნენ და ისევ ისე იღუპებოდნენ, როგორც პირველნი... ძირს ეცემოდნენ და ჩუმად, ხმა ამოუღებლივ ჰლევდნენ სულსა.

ბევრი სალდათი ვნახე ამ ბრძოლის დროს დაჭრილი. ამ სალდათებში ბევრი ათის შვილის მამა ერია, ზოგი 42 წლისაც იყო, შვილიშვილის პატრონი. რა დინჯად, რა წყნარად გვიამბობდნენ თავიანთ თავ-გადასავალს. იარა შეეხვიათ და 5—6 ვერსტის სიშორეზე თავიანთ ბანაკში მიდიოდნენ ღამ-ღამე ხან თითო-თითოდ, ხან ორ-ორი მდ. ტაიძიხეს ფონისაკენ მიდიოდნენ. წინად დაჭრილები ფეხით გადიოდნენ ფონში; საქუჩარს ცივ ღამეში წყალი მუხლამდე სწვდებოდათ; მაგრამ მალე გენ. რენენკამპფმა ბეჯითი ღონისძიება მიიღო და სამხედრო პოვოზკები სულ დაცლევინა დაჭრილების წასაყვანად. ფონს ახლა დაჭრილები ჩვენს ცეცხლთან მოდიოდნენ და ნებას გვთხოვდნენ, ცეცხლს პირს გავეთბოთ. თუ ნამწვავ პაპიროზსა ან სიგარას ვუთავაზებდით, სალდათებს ბავშვებივით გაუხარდებოდათ ხოლმე. ცოტას რომ გათბებოდნენ, პაპიროზის ბოლს ხარბად ჩაჰყლაპავდნენ და გვიამბობდნენ, როგორ იბრძოდნენ სამ დღეს წყეულ გორასთან, ან „მაკრის თავთან" (ერთ გორას „მაკრის თავი" დაარქვეს), იაპონელები მაღლიდან ტყვიას სეტყვასავით როგორ აყრიდნენ და „ღმერთმა როგორ გადაგვარჩინათ". ერთმა სალდათმა გვიამბო:

„ჩვენმა პოლკმა ღამით გორაზე წაგვიყვანა. ყოჩაღი ოფიცერია! მუდამ წინ მიდის... ნელ ნელა მივდიოდით, ეგაა სულთქმა გვიჭირდებოდა, იმიტომ რომ ის წყეული გორა მეტად მაღლისაგან მაღალი იყო. სულ ლოდიანი ქვა, სულ შიშველი კლდეა გარსა. საათნახევარს ვიპოლეთ, ზოგიერთი უკან ჩამოგორდა. მაინც სულ წინ მივდიოდით. როგორც იყო პირველ გორამდე მივედით. იაპონელებმა ვერ შეგვნიშნეს. წყეულ გორის თავამდე [illegible]-ღა დარჩა. ინათა. იაპონელებმა შეგვამჩნიეს და ტყვია სეტყვასავით დაგვაყარეს. ვერც წინ წავსულვართ, ვერც უკან. რას იზამ? მაინც ისევ წინ გავსწიეთ. წყეულ გორას მივაღწიეთ. იაპონელებმა შტიკებს სტაცეს ხელი. ვეცით. იაპონელებმა უკან დაიწიეს. იმათი სანგარი დავიჭირეთ. მივიხედ-მოვიხედეთ, პოლკი-კი, და რვა-ათი კაცი-ღა დავრჩენილიყავით. იაპონელები გვეცნენ და ჩვენი სალდათები თითქმის ყველანი მიაწყვიტეს. ორნი-ღა გადავრჩით და ძირს დავეშვით. იქ ხელსა, ფეხსა და მკერდში დამჭრეს.

ამ მოხალისეთა რაზმში 80 კაცი იყო და 25-დან 30 სექტემბრამდე 12 კაცი-ღა დარჩა. ამავე პოლკის ერთ როტაში 200 კაციდან 30 სექტემბერს 25 კაცი-ღა გადარჩა...

ამერიკელის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. ამერიკელ მოქალაქეს სპენსს „ნიუ-იორკ ტრიბუნ"-ში წერილი დაუბეჭდავს რუსეთ-იაპონიის ომზე. სპენსი სწერს: „დროა ინგლისმა და ამერიკამ კაცთმოყვარეობისა და მთელის ქვეყნიერობის ვაჭრობის სასარგებლოდ, რუსეთს ომზე ხელი აღებინონ და შორეულ აღმოსავლეთში შერიგება ჩამოაგდონ. თუ რუსეთი შერიგებას არ დასთანხმდება, ინგლისმა და ამერიკამ უსათუოდ დახმარება უნდა გაუწიონ იაპონიას. რუსეთმა თითონ გამოიწვია ეს უსამართლო ომი, მაგრამ ყველგან წააგო საქმე. ზღვაზე თუ ხმელეთზე პირველ დღიდან უკანასკნელ საშინელ ბრძოლამდე (იანტაისთან და მდ. შახეზე) ყველგან დამარცხდა; ეხლა ყველა დარწმუნდა, რომ რუსეთს არ შეუძლიან იაპონიასთან ომი. ამის შემდეგ ომი-კი არა, უბრალო სისხლის ღვრა-ღა იქნება.

ამბობენ, თუ ინგლისი და ამერიკა იაპონიის მოიხმარებიან, გერმანია და საფრანგეთი მაშინვე რუსეთს უშველიან. არა მგონია, რომ ნამდვილად ასე მოხდეს, მაგრამ გინდ მოხდეს, საფრანგეთი და გერმანია დიდ დახმარებას მაინც ვერ გაუწევენ რუსეთს. რუსეთს თითონაც საკმაოდ ჰყავს ჯარი, ეგაა მანჯურიაში გადაყვანა არ შეუძლიან. გერმანიასა და საფრანგეთსაც იმავ ციმბირის რკინის გზით დასჭირდებათ ჯარის გადაყვანა, რადგან ინგლისი თავის ფლოტით ზღვაში ყველა გზას შეუკრავს საფრანგეთსაცა და გერმანიასაც. ამ დროს ამერიკა ყველაფერს, რაც-კი იაპონიას დასჭირდება, თავისუფლად გადუტანს სამხედრო მოქმედების ასპარეზზე. ამერიკიდან რომ ჯარის წაყვანა გახდეს საჭირო მანჯურიაში, დარწმუნებული ვარ, რომ ერთის თვის განმავლობაში 500 ათასი კაცი მოისურვებს ომში წასვლას. გერმანიამ და საფრანგეთმა თავიანთ ჯარის გადაყვანა რომ ზღვით მოინდომონ, ამერიკის კრეისერები ყველა სატრანსპორტო გემს ან დაიჭერდნენ, ან ჩასძირავდნენ. ასე რომ რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას ინგლისთანა და ამერიკასთან ბრძოლა არ შეუძლიანთ; ეს თითონაც კარგად იციან. ინგლისმა და ამერიკამ რომ ამნაირი ულტიმატუმი გაუგზავნონ რუსეთს, ომი იმ წამსვე მოისპობა, რა წამსაც ამ ულტიმატუმს ტელეგრაფით პეტერბურგში გადასცემენ. ვფიქრობ, რომ ამერიკის ერს ძლიერ მოეწონება ინგლისი, და ამერიკა რომ ამნაირად მოიქცნენ. („პ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ 14 ნოემბერს ტფილისში ხოლერით ავად გახდა რკინის გზის ერთი ხელოსანი,—მღებავი, რომელიც რკინის გზისავე საავადმყოფოში დააწვინეს. ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში 12 და 13 ნოემბერს ავად გახდა 25 კაცი, მოკვდა—30. 12 ნოემბერს აჯიქაბულიდან ბაქოს საავადმყოფოში გაუგზავნიათ ორი ხოლერიანი, ნავთის მადნის მოსამსახურე და გადმოსახლებული რუსი. 13 ნოემბერს ბაქოში ავად გამხდარა ბაქოს დეპოს დარაჯი, რომელიც მალე მომკვდარა, და ბალაჯარაში—მემანქანის თანაშემწე. 14 ნოემბერს გუმბრში მატარებელს № 76-ში აღმოჩნდა ავადმყოფი მესამე კლასის მგზავრი, ერევნიდან მომავალი; ავადმყოფი ხოლერიანთა ბარაკში მოათავსეს. იმავე დღეს აჯიქაბულში ავად გამხდარა ერთი კაცი; ევლახში—კონდუქტორი. 15 ნოემბერს აჯიქაბულში ავად გახდა რკინის გზის სასწავლებლის მოწაფე. 16 ნოემბერს კარაკლისში მატარებელს № 92-ში აღმოჩნდა სნეული ავადმყოფი, რომელიც ხოლერიანთა ვაგონში გადაიყვანეს.

◆ რადგანაც ტფილისის გუბერნია ხოლერის მხრით საშიშად იქმნა გამოცხადებული, ტფილისის გუბერნატორს უფლება მიეცა დასაჯოს 1903 წელს გამოცემულ სასანიტარო წესების დამრღვევნი. დამნაშავენი ან ოცდაათი თუმანი გადახდებათ ან სამი თვით საპყრობილეში დაპატიმრებულ იქმნებიან.

◆ რადგან აჯიქაბულის სადგურზე ხოლერამ ძალიან იჩინა თავი, ამიერ-კავკასიის რკინის გზამ [illegible] კომისია ხოლერის [illegible] გამოსარკვევად. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა რკინის გზის უფროსი ექიმი სახაროვი, ხოლო წევრებად—ერთი ინჟინერი, ადგილობრივ დეპოს და სადგურის უფროსები. კომისია აჯიქაბულში 15 ნოემბერს შეიკრიბა. სხვათა შორის, კომისიამ მიკროსკოპიულად გამოიკვლია წყალი.

◆ რკინის გზათა მთავარმა გამგეობამ გადასდო ფული გუმბრში ხოლერიანთათვის ბარაკის გასამართავად, აგრეთვე რკინის გზაზე სისუფთავის დასაცველად და 15 სასანიტარო ვაგონის მოსაწყობად.

◆ როგორც გავიგეთ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ბაქოს რკინის გზის დეპოს მემანქანეთა და ხელოსანთა ერთ-ურთ დამხმარებელ საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოებას სახელად „მემანქანეთა საზოგადოება" დაერქმევა.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა ვანის ხამაჯ კასის წესდება.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა. გრაფინია ხუთ დღის საქართველოს საეკლესიო მუზეუმში მუშაობდა ხელთ ნაწერების შესასწავლად.

◆ როგორც ვიცით, ტფილისის სასულიერო სემინარიისთვის ვერაზე ახალ შენობას აგებენ, ხოლო ძველი შენობა პუშკინის ქუჩაზე იყიდება. შენობის შეძენას ფიქრობს თავად-აზნაურობა და აგრეთვე რამდენიმე კერძო კაცი, მათ შორის მანთაშოვი. ამათ გარდა შენობის შეძენა განუზრახავს ქალაქის გამგეობასაც. ამას წინად მოურავის მოადგილე კიდეც შეეკითხა სემინარიის მთავრობას, როგორ ჰყიდით სახლსა და მიწასაო? გუშინ სემინარიის მთავრობამ აცნობა თავ. ჩერქეზიშვილს, შენობას ყოველსავე მოწყობილობით ნახევარ მილიონად ვყიდითო.

◆ ამას წინად კიევის სასულიერო აკადემიის უთხოვნია საქართველოს საეკლესიო მუზეუმის გამგე კომიტეტისათვის, გაგვიგზავნოს რამდენიმე ძველი **ქართული ხელნაწერი** სამეცნიერო გამოკვლევებისათვის. კომიტეტმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, და დაადგინა, თითოეულ ორ-ორი ხელთ ნაწერზე მეტი არ გაეგზავნოს.

◆ საქართველოს საეკლესიო მუზეუმმა მიიღო ძველი ხელთ-ნაწერი ბერძნული სახარება. ეს სახარება სვანეთში ინახებოდა, შემდეგ გელათის მონასტერში გადაიტანეს და ბოლოს სუხუმს გამოეგზავნა 13 ძვირფასს ხელთნაწერთან ერთად. სახარება, როგორც ფიქრობენ, დაწერილია მე 5-6 საუკუნეში. სახარებას ბევრგან წარწერები აქვს ძველის ქართულის მხედრულით. როგორც წარწერებიდანა სჩანს, ეს ხელთ-ნაწერი ერთ დროს სამცხე-საათაბაგოშიაც უნდა ყოფილიყოს.

◆ ამას წინად, როგორც ვწერდით, ინჟინერმა ბასტამოვმა განუცხადა ქალაქს, ძახეთის გზატკეცილით ნავთლუხამდე ცხენის ტრამვაის გაიყვანო. უსახელო საზოგადოებამ უარი სთქვა ტრამვაის გაყვანაზე ამ მიმართულებით, რომელიც ბასტამოვმა დაასახელა, რადგან სხვა მიმართულებით (რიყის ქუჩისა, ციციანოვის აღმართით და ვორონცოვის მოედნით) საზოგადოებას უკვე გაჰყავს ელექტრონის ტრამვაი. როგორც შევიტყეთ, ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებს სურთ ნავთლუხამდე რკინის გზის გაყვანა ბასტამოვის მიერ აღნიშნულ მიმართულებით.

◆ ტფილისის გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ სოფელ სოღანლუღის მცხოვრებთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქონლის მატარებლის გაქურდვაში ყარსის გზაზე და რომელთაც სოღანლუღის მკვიდრის სამად-საფარ-ოღლის—ქონება გადაუწვეს, გადახდეთ ადმინისტრატიულ წესით ოცი თუმანი. ეს შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა.

◆ გუშინ, 16 ნოემბერს, საგუბერნიო **სამხედრო ბეგრის საკრებულოში** ექიმებმა ხელ მეორედ გასინჯეს ორმოცამდის კაცი, რომელნიც მაზრის სამხედრო ბეგრის საკრებულოების შემოწმებით კმაყოფილნი არ იყვნენ. საგუბერნიო საკრებულომ ამათში 16 კაცი გადასცა სამაზრო სამხედრო უფროსს, ოთხი ჯან-მრთელად არ იცნო და ოცი კაცის სამხედრო საავადმყოფოში დააწვინა.

◆ დღეს, 17 ნოემბრისათვის, ტფილისის სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია დავა, ბელგიის უსახელო საზოგადოებისა და ავჭალის ტრამვაის კონცესიონერთა შორის ატეხილი. ავჭალის ცხენის რკინის გზა უნდა გამოესყიდა უსახელო საზოგადოებას. თუ პირობაში აღნიშნულ ვადამდე უსახელო საზოგადოება გზას არ გამოისყიდდა, მაშინ საზოგადოებას კონცესიონერებს სასარგებლოდ უნდა გადაეხადნა 200,000 მან. ამ ერთი წლის წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ საჩივარი კონცესიონერების, ალიხანოვისა და ყორღანოვის, სასარგებლოდ გადასწყვიტა. საზოგადოებამ ოლქის სასამართლოს განაჩენი პალატაში გაასაჩივრა.

◆ დუშეთის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ **სოფ. ანანურელებს სოფლის კანცელარიის** შენობის შესასყიდათ, რომელიც სოფელ ანანურშია და სამოურავო უწყებას ეკუთვნის, სესხათ მიეცეთ 900 მანეთი. გუბერნატორმა გუშინ, 16 ნოემბერს, აცნობა მაზრის უფროსს, რომ ამ შუამდგომლობას ვერ შეიწყნარებს.

◆ **სოხუმში არსდება ტუბერკულოზის** წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. მთავრობამ უკვე დაამტკიცა წესდება.

◆ **როგორც საგარეჯოდან გვატყობინებენ**, 10 ნოემბერს სადამთო გამოვლებთან (ტფილისის მაზრა) ექვსი შეიარაღებული თათარი დაეცა ცხვარს, რომელიც ეკუთვნოდა საგარეჯოს მცხოვრებ გიორგი მათიაშვილსა და ტფილისის მოქალაქეს მიხეილ პეტროსოვს. ასტყდა თოფის სროლა მეცხვარეებსა და თათრებ შორის. მეცხვარემ, სოფ. კაკაბეთის მცხოვრებმა აღექსი

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან

(მწვავე საკითხები).

ქართველი მკითხველი არ უნდა ფიქრობდეს, რომ გერმანიაში, როგორც კულტურულ და პარლამენტურ სახელმწიფოში, ყველაფერი სასურველ წესრიგზეა მოწყობილი. ასეთი აზრი დიდი შეცდომაა. „მწვავე საკითხები", რომელიც პოლიტიკურად მომწიფდ მოქალაქეს მოსვენებას არ აძლევს, აქაც არის, ასეთ საკითხებით სავსეა გერმანიის შინაური პოლიტიკა. ის წყობილება, რომელიც იქნებ ზოგისთვის სასურველ რამეს წარმოადგენდეს, გერმანელისთვის დახავსებული რამ არის. როგორც ყველამ კარგად იცის, ცხოვრება მუდამ, შეუჩერებლად წინ მიისწრაფვის და მუდამ ახალ საკითხებით გვიმასპინძლდება. ეს არის ცხოვრების კანონი და ეს კანონი თავს იჩენს განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრებაში; ის, რაც გუშინ ახალს და სანატრელს წარმოადგენდა, დღეს ძველი-ძველი ხდება.

თუ პოლიტიკოსმა ამ განვითარების გზას არ მისდია, თუ ახალი მოთხოვნილებები იმის თვალთა ხედვის არეს როგორმე გამორჩა, მაშინ იბადება კონფლიქტი არსებულს და სასურველს შორის, სწორდება წინააღმდეგობა მმართველ სფეროსა და ეგრედ წოდებულ საზოგადოებას შორის. ამ დროს მთავრობა და საზოგადოება სულ სხვადასხვაგვარ გზით მიდიან. საჭიროა სხვა პირობებთან ერთად დიდი გამჭრიახობა, რომ მთავრობა ცხოვრების მიმდინარეობას არ ჩამორჩეს. და რომ ასეთ გამჭრიახობის ქონა ძნელი ყოფილა, ეს ნათლად სჩანს იმ გარემოებიდან, რომ ვერსად ვერ ვამჩნევთ მმართველ სფეროსა და საზოგადოების ჰარმონიულ მოღვაწეობას; თითქმის ყოველგან და ყოველთვის მათ შორის სამუდამო კონფლიქტია. ასეთი კონფლიქტი გერმანიის მთავრობას არა თუ აუცილებია, არამედ ძლიერ გაუმწვავებია და [illegible] ღონე უხმარია, რომ ამ წინააღმდეგობას ფართო ხასიათი მისცემოდა.

გერმანელ მოქალაქის პოლიტიკური შეხედულებანი ჟამთა ვითარების გამო შეიცვალნენ, იმისმა ბურჟუაზიის მისწრაფებამ დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებისადმი შესამჩნევად იმატა, ამიტომ მისთვის ის კანონმდებლობა, რომლისათვისაც იგი ამ ოცდაათის წლის წინად იბრძოდა, ეხლა ბორკილად შეიქმნა; მართვა-გამგეობის არსებული წესი ძალიან ეწინააღმდეგება თავისუფალ მოქალაქის გაფართოებულ პოლიტიკურ ჰორიზონტს. ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად საჭირო იყო მთავრობის მიერ კულტურული, პროგრესიული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) პოლიტიკა. საჭირო იყო მოქალაქის უფლებათა გაფართოება, პირად ინიციატივის შემზღუდველ და შემაფერხებელ კანონების ძირიანად აღმოფხვრა, ერთის სიტყვით, საჭირო იყო გართულებულ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ეს კი როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის მთავრობისათვის შეუძლებელი შეიქნა; იმას არა თუ არ უფიქრნია უფლებათა გაფართოებაზე, არამედ რეაქციული პოლიტიკა იმისთვის სატრფიალო რამ გახდარა.

გერმანიის მთავრობა უმთავრესად ბიუროკრატიულ-რეაქციონურია და, როგორც ამნაირმა, რა თქმა უნდა, ვერ შესძლო ახალ ცხოვრების გაგება. ახალს ის უფრთხის და სდევნის, ფართო რეფორმები მისთვის შიშის ზარსა ჰგვრის. ამიტომ სრულიად სამართლიანად უნდა ჩაითვალოთ აგვისტო ბებელის „ინსტრუქცია", რომლითაც მან შეამკო გერმანიის მთავრობა წარსულ ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესზე ამსტერდამში: სათათრეთის შემდეგ (horribile dictu!) ასეთი რეაქციონური მთავრობა მთელ ევროპაში არ მოიპოვებაო! იქნება სიტყვებში ცოტა გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ მთავარ მუხლში ასეთი აზრი სიმართლეს მოკლებული არ არის: ადგილობრივი პოლიტიკური ატმ. სფერა მართლაც გაჟღენთილია ბიუროკრატიზმით და ფორმალიზმით, რაც დიდად აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისუფალ განვითარებას. გერმანიის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია იმ აზრს, რომ თანამედროვე სახელმწიფოში მუშათა კლასიც სცდილობს პოლიტიკას ხელი დაიჭიროს, რომ ხალხს სურს თავისი ინტერესები თვითონვე დაიცვას. მუშათა დემოკრატიის ზრდა-განვითარება იმისთვის აუხსნელი და საშიშარი მოვლენაა. ამიტომაც მას სწადია გაჰქროს ეს მოძრაობა სხვა-და-სხვა მკაცრის ზომებით; მას არა სურს უფრო საზოგადოების „დაბალ" კლასთა გამოღვიძებას და გამოცოცხლებას როგორც კანონიერს და ბუნებრივს, და ამიტომაც ჰგონია, რომ განსაკუთრებულ ზომებით შეიძლება იმისი სამუდამოდ მოსპობა. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ გასულ ზაფხულში ხმა დაჰკრეს, ვითომ მთავრობას ჰსურდეს პირდაპირი საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსპობა. საზოგადოება ამის გამო ძლიერ ახმაურდა და განრისხდა. ჯერ ეს ხმა არ გამართლებულა, მაგრამ დარწმუნებული არავინ არ არის, რომ ასეთი ზომა მთავრობის მიერ მიღებული არ იქნება. გერმანელი ძლიერ კარგად იცნობს თავის მთავრობას, რომ ადვილად არ დარწმუნდეს რეაქციონერთა დაპირებას. არავინ იცის, რა მოელის საარჩევნო უფლებას. თუ როგორ შიშობენ ხმის უფლების წართმევის გამო, კარგად სჩანს იმ გარემოებიდან, რომ გერმანიის დემოკრატია წინდაწინვე ემზადება ასეთ ზომის შესახვედრად: ცნობილი ედუარდ ბერნშტეინი პირდაპირ აცხადებს: რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა როდისმე საარჩევნო უფლებას წაგვართმევს, ამიტომ მომხრე ვარ მუშათა საყოველთაო გაფიცვის მოხდენისა, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

ერთის სიტყვით, საზოგადოებამ არ იცის, რა ცვლილება მოელის მართვა-გამგეობის წესს, მას თვალწინ რეპრესსიები ელანდება. ამნაირად სცდილობს მთავრობა ფართო საზოგადოების განრისხებას და აღელვებას. თავისთავად იგულისხმება, რომ, როდესაც მმართველ სფეროს პირზე მუდამ რეპრესსია აკერია, ასეთ მთავრობას საზოგადოების დიდი ნდობაც აქვს. რეფორმების მაგიერ კულტურულ საზოგადოებას ბნელეთისაკენ იწვევენ და რა გასაკვირველია, თუ მათ შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდება. თუ რანაირად ეტრფიალება მთავრობა ძველის პოლიტიკურ რეჟიმის განახლებას, ეს სჩანს იმიდანაც, რომ იგი ბარბაროსულად ეპყრობა უცხოელებს, რომელნიც სხვა ევროპიულ სახელმწიფოებში მიღებულნი არიან როგორც სასურველი სტუმრები. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, რეფორმებზე სერიოზულად ფიქრი უნაყოფოა: საზოგადოება მუდამ ყარაზე უნდა იდგეს და უკვე არსებულ დემოკრატიულ დაწესებულებათა დაცვა თუ მოახერხა, ისიც კარგია. რეფორმები-კი ძლიერ საჭიროა ახლა, თავისუფლად მოაზრე გერმანიისათვის. ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი ეს საყვარელი მცნებაა პრუსსიის მთავრობისა, ყოველს სფეროში გაბატონებული.

აიღეთ, მაგალითად, მოქალაქის უუფლებრივო მდგომარეობა. გერმანელს არ შეუძლიან მეფის პიროვნების შესახებ თავისუფლად სწეროს და თუ რამე დასწერა, მაშინვე საპყრობილეში უკრავენ თავს ვითომდა შეურაცხყოფისთვის. ასეთი პროცესები აქ თითქმის ყოველ დღეა. ამ ერთი კვირის წინად მსაჯულებმა მისაჯეს 14 წლის ბავშვს რამდენიმე თვე საპყრობილეში ჯდომა ასეთის დანაშაულისათვის, რამაც საერთო უკმაყოფილება გამოიწვია. ამ საკვირველ და მეტის მეტად სასტიკ დადგენილებამ ისე აღელვა ზომიერად ლიბერალური, გერმანიაში კარგად ცნობილი გაზეთი „Vossische Zeitung", რომ ამ შემთხვევას მოწინავე წერილი უძღვნა, რომელშიაც დიდის მწუხარებით აცხადებდა ასეთ სასჯელის სრულ უკანონობას და უტაქტობას.*) „ამის შემდეგ უცხოეთში რას იფიქრებენ გერმანელებზე; უფლება აქვთ გერმანიას ბარბაროსი უწოდონ,—ასე ათავებდა აღშფოთებული გაზეთი.."

რეფორმა საჭიროა სალანდტაგო საარჩევნო უფლებასაც. ეხლანდელი სისტემა ისეთ ნიადაგზეა აგებული, რომ, მაგალითად, პრუსსიის ლანდტაგში სრულიად არ მოიპოვებიან ხალხის წარმომადგენლები; იქ მხოლოდ თავადებს და სხვა ამგვარებს მოუყრიათ თავი, რომელთაც ხალხთან არავითარი კავშირი არა აქვთ და ხალხის კეთილდღეობაზე ამიტომ ნაკლებად ზრუნავენ. აუცილებლად საჭიროა აქაც დემოკრატიულ პრინციპის გამეფება, საჭიროა ყოველ მოქალაქეს არჩევის უფლება მიეცეს. ამისათვის კი საუკეთესო საშუალება პირდაპირ საყოველთაო საარჩევნო სისტემის შემოღებაა... რეიხსტაგს ან ლანდტაგს არა აქვს უფლება მინისტრთა არჩევისა; მათი დანიშვნა გამოცვლა მეფეთა მონოპოლიას შეადგენს. ამ ცოტა ხნის წინად გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, ვითომ პრუსსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ჰამმერშტეინი თავის თანამდებობას თავს ანებებს. თავისუფლად მოაზრე პრესსა ამის გამო დიდის მწუხარებით აცხადებდა, რომ გერმანელ საზოგადოებისათვის სრულებით უმნიშვნელოა, წავა ჰამმერშტეინი თუ ისევ დარჩება, რადგან იმის მაგიერ ისეთივე რეაქციონერი დაინიშნება, როგორიც თვითონ ბრძანდებათ. ამა ათი წლის განმავლობაში ბევრი მინისტრი გამოიცვალა, მაგრამ ყველა ერთნაირი იყო და ამიტომ მთავრობის პოლიტიკას არავითარი ცვლილება არ დასტყობია. ხალხის წარმომადგენლებს რომ უფლება ჰქონდეთ მთავრობის წარმომადგენელთა არჩევისა, მაშინ სულ სხვა სურათს დავინახავდით, მაშინ მინისტრთა გამოცვლასაც საზოგადო მნიშვნელობა და ინტერესი ექნებოდა...

სახალხო სკოლების გამრავლების საჭიროება აქ დღიურ საკითხს შეადგენს. აიღეთ, სოციალური კანონმდებლობა, პრესსის უუფლებრივო მდგომარეობა, სასამართლო, აქაც რადიკალურ ცვლილების მოხდენაა საჭირო. საზოგადოდ პოლიციურ რეჟიმს ყველგან დიდი კვალი დაუჩნევია, განსაკუთრებით კი ჯარში (სალდათებს მეტად სასტიკად ეპყრობიან). რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ყველაფერში რეფორმები აუცილებელია. მართვა გამგეობის დემოკრატიზაცია და მისი ბიუროკრატიზმის შესუსტება, თვით-მმართველობის პრინციპის უფრო სფეროში გაბატონება და მით თვით-მოქმედებისა და თვით-შეგნების განვითარება, მოქალაქის თავისუფალ მოქმედების შემზღუდველ კანონების სამუდამოდ მოსპობა და მით თავისუფალ პირობების შექმნა მოქალაქეობრივ უფლებათა გაფართოება,—აი, მწვავე დღიური საკითხები გერმანიაში, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტა შეადგენს ჩვენი დროის უპირველესს და უმთავრესს საგანს.

Rali.

(დასასრული იქნება)

---

*) ასეთი დასჯა უტაქტობაა, რადგან დასჯილი ბავშვი მომავალში შეურიგებელი მტერი იქნება, თუ საპყრობილემ ნორჩ ყმაწვილს უდროოდ არ დაუჩლუნგა გონება.

მათიაშვილმა, ერთი თათარი მოჰკლა, დანარჩენები გაიქცნენ და 86 ცხვარი გაიტაცეს. მოკლულ თათრის ვინაობა არ არის ჯერ გამორკვეული. მკვდარ თათარს ზედ შერჩა ბერდანის სისტემის თოფი და პატრონტაში.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში 14 ნოემბერს ტფილისის მცხოვრებს სტეფანე მ. პალიანცთან სამკერვალოში შესულა სერგო ალიხაშვილი ვითომდა საყიდლად. ალიხაშვილს გადმოუღებინებია საქონელი და დაუწყია ვაჭრობა საშარვლე ნაჭერში. ლაპარაკი ალიხაშვილს მალე შეუწყვეტია, გამოსულა სამკერვალოდან, ეტლში ჩამჯდარა და წასულა. პალიანცს უფიქრნია, უსათუოდ იმ კაცმა რაღაც მოიპარა, ისე საეჭვოდ რომ წავიდაო. ჩამჯდარა ეტლში, გამოსდევნებია, პოლიცაელები დაუხმარებია და პოლიცაში მიუყვანია. როგორც აღმოჩნდა, ალიხაშვილს 28 მან. ღირებული მატერიის ნაჭერი მოეპარა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს.

◆ ქალაქის ინჟინერმა კოგნოვიცკიმ აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ უსახელო საზოგადოებამ საელექტრონო ძალის გამტარებელ ფიდერები ვორონცოვის ხიდზე ისე არ გააკეთა, როგორც გეგმით უნდა გაეკეთებინაო. საალმშენებლო განყოფილებამ გუშინ მისწერა ამის შესახებ უსახელო საზოგადოებას.

◆ განჯა. 11 ნოემბერს ღამე რკინის გზის ლიანდაგის მე-487 ვერსზე ჰნახეს მკვდარი კაცის გვამი. გარეგნობით მკვდარი თათარსა ჰგავდა. სხეულზე ძალადობის ნიშანი არ იტყობოდა.

აგტაგლა. 14 ნოემბერს ნავთის მილის-მუშა პავლე დეკანოძე მილების ჩაწყობის დროს დაშავდა.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში 14 ნოემბერს პოლიციელმა მიიყვანა ორი უცნობი კაცი. ერთმა განაცხადა, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ვარ ილარიონ ნემსაძეო, ხოლო მეორემ—გორის მაზრისა ვლადიმერ თედეშვილიო. ამ პირთ აღმოაჩნდათ ყუთი, რომელშიაც ატლასის მატერია იყო სულ 90 მანეთისა. ნემსაძე გამოტყდა და პოლიციას აცნობა, საქონელი მოვიპარე სერგიევის ქუჩაზე მიქელაძისა და აკოფოვის ქალთა სამკერვალოდან, სადაც იგი ხელობას სწავლობდა. როცა მიიწვიეს მიქელაძე და აჩვენეს საქონელი, მან თავისად იცნო. ნემსაძის ბინა გაშინჯა პოლიციამ და იქაც აღმოჩნდა ერთი ნაჭერი ატლასისა 58 მან. ღირებული. ნემსაძე პასუხის გებაში მისცა.

◆ ბებუთოვის ქუჩაზე, კვირას, 14 ნოემბერს, ღამე შემდეგი ქურდობა მოხდა: ვიღაც ბოროტგანმზრახველნი შეპარულან ტფილისის მცხოვრების ეკატერინე მერაბოვის ბინაზე, გაუტეხიათ იმისი კამოდი და წაუღიათ ბრილიანტის ბეჭდები, ძველი ვერცხლის ფული, საათი და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 1000 მანეთისა და გადამალულან. მერაბოვისამ ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანა თავის მსახურ რაჭის მაზრის მცხოვრებ ნიკოლოზ სალთხელიძეზე, რომელიც დააპატიმრეს.

ქალაქის საქმეები

16 ნოემბერი

შვიდ წელზე მეტია, სულით ავადმყოფთა სადგომი იმყოფება ქ.ქ. ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვას სახლში. ეს სახლი სოლოლაკის ნაწილშია, მაგრამ ისეთი ცუდი ყოფილა, ისე მოუხერხებელი თავის ეხლანდელ დანიშნულებისათვის, რომ ყველა აღშფოთებით ლაპარაკობს, ვისაც კი უნახავს, ყველა ამტკიცებს—ღმერთობაა იქ ავადმყოფი გავაჩეროთო. სახლის უვარგისობის გარდა ის ნაკლიც ჰქონია ამ სადგომს, რომ ვერ ყოფილა კარგად შემოღობილი და უბნის ბავშვებიც მთელი საათობით აწვალებენ თურმე საბრალო ავადმყოფებს.

ქალაქის გამგეობა მაინც თხოულობდა—ისევ ის სახლი დავიქირავოთ, რადგან სხვას ვერ ვიშოვით და ახალის ასაშენებლად კი ფული არა გვაქვსო. საბჭოს უმრავლესობამ არ შეიწყნარა გამგეობის წინადადება და დაადგინა—დაევალოს გამგეობას სულით ავადმყოფთა საგანგებო საავადმყოფოს გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვაი თუ პავლეს მოსვლამდე პეტრეს ტყავი გააძვრეს, ვაი თუ ახალ საგანგებო საავადმყოფოს აგებამდე ბარე ორმა ტურამ იკივლოს და სულით ავადმყოფნი ისევ ძველს ან შეიძლება კიდევ უარესს პირობებში იქმნენ. რა სიჩქარით კეთდება ქალაქის საქმეები, დღეს ყველამ იცის.

ქალაქის საყასპოების მდგომარეობა ძალიან საეჭვო გახდარა; საზოგადოებასა თუ მწერლობაში საქმის ლიკვიდაციაზე ლაპარაკობენ და საბჭოს კი აქამდე არაფერი მოხსენებია. როგორც იქნა, „საქმეთა სიაში“ დავინახეთ ეს საგანიც, მაგრამ თურმე მხოლოდ ფორმისათვის: საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ჯერ არ წარმოუდგენია გამგეობისათვის დასაბუთებული მოხსენება და ამიტომაც გამგეობას ვერავითარი დადგენილება ვერ მოუხდენია, თუმცა განსახილველ საქმეთა სიაში სწერია—„კომისიის მოხსენება ქალაქის ხორცის დუქნებზე გამგეობის დასკვნითა“-ო.

კომისიის თავმჯდომარე ამტკიცებდა—მოხსენება უკვე დიდი ხანია წარდგენილი მაქვსო. ნ. არღუთინსკი კი ამბობდა—რაღაც პატარა ქაღალდი შემოიტანეს, სადაც ცნობები არ არის, და ამას მოხსენებას ვერ დავუძახებთო. საქმე, რასაკვირველია, გადაიდო.

ავლაბარში, სადაც 40 ათასამდე მცხოვრებია, არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ არის; ორჯელ სცადა ქალაქის თვითმართველობამ პროგიმნაზიის გახსნა, მაგრამ ორივეჯერ უარი მოუვიდა სამოსწავლო მთავრობისაგან. ეხლა ხმ. მიქელაძე „სხვა მხრიდან“ უვლის საქმეს: მეოთხე გიმნაზიის ოთხი პარალელური კლასი გავხსნათ ავლაბარში მოსამზადებელი კლასებითო და 10 ათასი მანეთი გადავდოთ ამ კლასების შესანახად ყოველ წლიურადო. არსებითად ისევ ძველი შუამდგომლობის განახლებაა ბ. მიქელაძის წინადადება და ადვილად შესაძლებელია, ამასაც იგივე ბედი ეწიოს.

ხომ რამდენჯერმე ყოფილა ლაპარაკი ამ საგანზე, რამდენჯერმე დასაბუთებული შუამდგომლობა შეუდგენიათ, ჩვენმა ხმოსნებმა მაინც გული იჯერეს წყლის ნაყვით. ყველა ეგრე დაიწყებდა: „იმის მტკიცება, რომ განათლება საზოგადოთ და პროგიმნაზია კერძოდ საჭიროა ავლაბრელებისათვის, მეტი იქნებაო“, მაგრამ 15—20 წამს მაინც ანდომებდნენ ამ ღია ალაყაფის კარებში შესვლას. ხმ. ქოჩორიანცმა აქაც თავისებურობა გამოიჩინა და კლასიკურ სისტემის წინააღმდეგ დაიწყო ლაპარაკი და ამტკიცებდა—ჩვენთვის „პრაქტიკ-კავკასიელებისათვის“ ტეხნიკური ცოდნა არის საჭიროო.

ხმ. ხუდადოვის აზრი მოგვეწონა: ხმოსნები უმრავლესობის წარმომადგენლებად უნდა სთვლიდნენ თავს და, როგორც ეგეთნი, ვალდებულნი არიან უმრავლესობის, ე. ი. ღარიბ მცხოვრებთა ინტერესებზე უფრო იზრუნონ; თუ ფული გვაქვს, ისევ პირველდაწყებითი სკოლები გავამრავლოთ, რადგან საშუალო სასწავლებელი ხელმისაწვდომი მხოლოდ უფრო შეძლებულთათვის არის.

საბჭომ მიიღო ბ. მიქელაძის წინადადება და დაადგინა აღიძრას შესაფერი შუამდგომლობაც.

დიდძალი საქმეები აქვს ქალაქის თვით-მმართველობას სასამართლოში, მეტ წილად სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის მიზეზით გამოწვეული. ამიტომ ბევრმა საჭიროდ დაინახა საგანგებო მომრიგებელ სასამართლოს დაარსება ტფილისში. ხმ. ქოჩორიანცი კი რომ აღელვა ამ საქმემ—სადაური სამართალია, მოქალაქის ფულით დავაარსოთ ისეთი დაწესებულება, რომელმაც თვით ხარჯის გამღები უნდა დასაჯოსო! ნამდვილი ქოჩორიანცისებური ლოღიკაა!

სამწუხაროდ, თავმჯდომარესა და ქოჩორიანცს ცხარე კამათი მოუვიდათ და გულ მოსულმა ხმოსანმა ლაპარაკის განგრძობა აღარ ისურვა, თორემ უფრო კარგ მარგალიტებსაც გავიგონებდით.

საქმე კი გადადვეს—ჯერ ვრცელი მოხსენება დაიბეჭდოს და მერე გადავწყვეტთო.

როგორც იქნა, გადასწყდა სტატისტიკურ ბიუროს საქმეც (1891-შია დაწყებული)—საბჭომ 3040 მანეთი გადასდო პატარა ბიუროს მოსაწყობად.

ხმ. გრიქუროვი სპეციალისტი ყოფილა საეკკლესიო მამულების საქმეში: სულ ორჯელ გვახსოვს მისი ლაპარაკი და ორივეჯერ ეკკლესიით იყო გამოწვეული: ქაშვეთის ეკკლესია სთხოვდა ქალაქს—საშენ მასალას ვაწყობთ ქუჩის ნაწილზე და ფულს ნუ გადაგვახდევინებთო, გამგეობა თანახმა გახდა, საბჭოს უმრავლესობამაც დაადგინა ნუ გადავახდევინებთო, მაგრამ ამ დროს რეზინის ბურთივით წამოვარდა ხმ. გრიქუროვი და უკვე გადაწყვეტილ კითხვაზე ცხარედ დაიწყო ლაპარაკი; მას მხარი მისცა არშაკ ბაბოვმა და იმდენი იმაცადინეს, რომ ხმოსნები წავიდ-წამოვიდნენ და საქმე გადაუწყვეტელი დარჩა.

კითხვა სულ უბრალო და უმნიშვნელოა, მაგრამ გრიქუროვების დამახასიათებელია და იმიტომ უნდა აღვნიშნოთ: შეკითხვაზე გამგეობამ მოახსენა საბჭოს—ერთმა ეკკლესიამ (სომხისამ) გვთხოვა ამას წინად იგივე და საბჭომ დააკმაყოფილაო. სულ უმნიშვნელო საქმეა, მაგრამ ზოგ ხმოსნის გაცხარებას ქაშვეთის ეკკლესიის თხოვნის გამო კარგი სუნი არ უდის.

პრესსა

სახელმწიფო ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა აიღოთ, ყველგან მეტის-მეტი ნაკლებობაა მომზადებულ, ინტელიგენტ პირებისაო, სწერს „რუსკია ვედომოსტი“.

> მოისაზრეთ, რამდენი მასწავლებელი ვაჟი და ქალია საჭირო, რომ ხალხს პირველ-დაწყებითი წერა-კითხვა შევასწავლოთ, რამდენი აგრონომი გვინდა გლეხის მიწათ-მოქმედების, ტეხნიკის გადასაკეთებლად, რამდენი ინსტრუქტორები გვეჭირვება ხელობისა და საოჯახო მრეწველობის გასაუმჯობესებლად, რამდენი ინჟენერი—გაუვალ გზების გასავალად გახდომისათვის და ს ვა. ჩვენ კი, შედარებით სივრცესთან და მცხოვრებთა რაოდენობასთან, სულ უმნიშვნელო რიცხვი გვყავს ისეთ პირებისა, რომელთაც შეუძლიანთ ცოდნა შეიტანონ ხალხში...

ასეთ პირობებში როგორღა უნდა მოვიქცეთო, ჰკითხულობს გაზეთი.

ყოველ ასეთ საჭირო პირს უნდა გავუფრთხილდეთ და გულალაოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მისი შრომა გზას გაუნათებს და ნაყოფს გამოაღებინებს ას სხვა პირის შრომას.

ხომ ეგრე უნდა ვიქცეოდეთო, ამბობს გაზეთი, მაგრამ სამწუხაროდ,

> დიდი ხანია, განსაკუთრებით საგანგებო კანონების შემოღებიდან რუსეთის იმპერიის მეტ ნაწილში, იღუპება წინად არ გაგონილი, დაუჯერებელი რიცხვი ინტელიგენტ ძალებისა.

ვინც იღუპება, ხომ იღუპება, მაგრამ სიკეთე არც გადარჩენილებს სჭირს.

> დიდ და პატარა ზომების მთელ წყებას, რომელიც საგანგებო კანონებს შეუქნია, მოჰყვა ის დამღუპველი შედეგი, რომ უმრავლესობას მხნეობა წაართვა და, საზოგადოებრივ ინტერესების მხრივ გადააქცია უსულო გვამებად.

გარეგანი მშვიდობიანობა და სამარისებური სიჩუმე ცხოვრებისა იმის შედეგია, რომ საზოგადოებას ენერგია და ინიციატივის უნარი აღარ აქვსო. ვისაც ორჯელ-სამჯერ უგემნია უსიამოვნება საზოგადოების სამსახურისათვის, მეოთხეჯერ აღარ მოისურვებს გასწიროს თავისი მდგომარეობა და უიმედოთ დაიკრეფს გულზე ხელსაო, აი, ამ დატანჯულ უსასოო ხალხით არის სავსე დღეს რუსეთიო (№ 314).

⁂

მთელ რუსეთის იმპერიაში ყველაზე მეტი უფლებანი თურმე გლეხს ჰქონია! თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს 313 ნომერი და თქვენის თვალით დარწმუნდებით.

თავად-აზნაურობას რა უფლება აქვს, გარდა „ზემსკი ნაჩალნიკ“-ის თანამდებობის მიღებისა და ზოგ უჯამაგირო საპატიო თანამდებობაზე არჩევისა. სამაგიეროდ გლეხს აქვს უფლება: 1) საკუთარ მიწის არ გაყიდვისა, 2) ციმბირის ვრცელ სტეპებში გადასახლებისა, 3) სხვა-და-სხვა შეღავათების თვითონ გადასახლების დროს, 4) საგლეხო ბანკიდან ფულის სესხებისა, 5) სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა, 6) საკუთარ სასამართლოს ქონებისა (ეს ის ვოლოსტის სასამართლოა, რომელზედაც კარგი თვით მის მოყვარესაც ვერ უთქვამს), 7) სხვა-და-სხვა შეღავათის მიღებისა—როგორც, მაგალითად, „ნედოიმკების“ გადახდის გადადებისა და ხან-და-ხან პატიებისაც. ერთის სიტყვით, წერილის ავტორმა ბ. პავლოვმა იმდენი უფლებანი აღმოუჩინა რუსის გლეხს, რომ, ალბად, ამ უფლებათა სიმრავლის ბრალია, რომ იგი წელში ვერ გამართულა და მაღლა ვერ იხედება.

რაკი ბ. პავლოვმა ასეთი შესანიშნავი რამ აღმოაჩინა, მოუბრუნდა მოწინააღმდეგეთ და აბა, გამოდით და

> გაბედეთ თქვენ „პრავო“-ს, „რუს“-ის, „ნოვოე ვრემია“-ს, „ოსვობოჟდენიე“-ს, „რუსკია ვედომოსტი“-ს იმდა სხვა ავ ბანაკის მწერლებო და უარყავით ჩემი ახსნა (აღმოჩენა!) იმ წოდებათა, გლეხთა წინაშე, რომელთაც თქვენ ასე დიდხანს და ასე სულმდაბლად ატყვილებდით! სცადეთ დაარღვიოთ ჩემი სიმართლეო!

ვაჟკაცობაც და გაბედულობაც ასეთი უნდა! მაგრამ არც ისე საქებია ეს გაბედულობა: პავლოვებს იმ თავითვე გადაწყვეტილი აქვთ, რაც არ უნდა დაუმტკიცონ, მაინც თავისი სთქვან, და თუ ძალიან მოეკიდნენ, „გვიშველეთ, ყარაული“-ო მათ ხელშია.

თეატრი

ოქტავ მირბო

დღეს ჩვენი არტისტები წარმოადგენენ სახაზინო თეატრში ოქტავ მირბოს ცნობილ დრამას—„საქმის კაცს“ (les affaires sont les affaires).

ოქტავ მირბო დღეს განთქმული მწერალია მთელს ევროპაში, განსაკუთრებით, რასაკვირველია, თავის სამშობლოში, საფრანგეთში. ყოველ მის ნაწარმოებს, რომანია იგი, მოთხრობა თუ დრამა, მოუთმენლად მოელის ევროპიელი მკითხველი. და არც საკვირველია: დიდ ნიჭთან ერთად მირბო მებრძოლი მწერალია, მებრძოლი საუკეთესო იდეალისათვის, ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის და მჩაგვრელთა დაცემისათვის. თანამედროვე მჩაგვრელი და მტაცებელი შესანიშნავი ძლიერებით დაგვიხატა მირბომ „საქმის კაცში“: ისიდორ ლეშას ადარებენ კრიტიკოსები მოლიერისა და ბალზაკის ტიპებს. „ისიდორ ლეშა სალამს აძლევს წინამორბედ განთქმულ ნათესავებს (ტიპებს) და ესენიც თავის ნათესავად იცნობენ მას“-ო, სწერს ერთი რეცენზენტი.

„ყოველ მის ნაწერში, პატარაა იგი თუ დიდი, უთუოდ შეხვდებით მებრძოლ სულს და გაბედულ, მამაც კეთილშობილებას... იშვიათი მწერალია მირბოსავით მწყურვალე სამართლიანობისა... და მასავით შეწუხებული სოციალურ უთანასწორობით“. იმ დროს, როცა მისი თანამოკალმენი სულ სხვა საგანს ეტრფოდნენ და თავს ევლებოდნენ, მირბომ გამოსცა ძლიერი ხმა პროტესტისა წინააღმდეგ ამ სოციალურ უთანასწორობისა, და მტერნიც კი მიიზიდა და ქება ათქმევინა თავის ნიჭის ძლიერებისა.

„საქმის კაცი“ ევროპის ყველა საუკეთესო სცენაზე იყო დადგმული და ყველგან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რუსეთის ქრონიკა

◆ ბევრ ფორმალურ წესის შესრულებაა საჭირო ტიპოგრაფიის, ლიტოგრაფიის და ცინკოგრაფიის დაარსების ნებართვის ასაღებად და ეს გარემოება დიდად აბრკოლებს ამ საქმის განვითარებას. ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს ამ ძნელ წესების შემსუბუქება. პროექტი რეფორმისა გაეგზავნება ჯერ გუბერნატორებს და ქალაქის უფროსებს აზრის შესატყობად. („პეტ. ვედ.“).

◆ იმავ სამინისტროს აზრად აქვს გადასინჯოს 1902 წლის საქალაქო დებულების ერთი ნაწილი, რომ უფრო შეუხამოს ცხოვრების თანამედროვე პირობებს. ამ გადასინჯვას აზრად არა აქვს შეჰკვეცოს საქალაქო თვითმართველობის უფლებანი. აზრად აქვთ მხოლოდ ისე გამოსთქვან ზოგი მუხლი დებულებისა, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს უნაყოფო კამათსა და დავას ადმინისტრაციისა და თვითმართველობის შორის. გარდა ამისა განზრახულია მცხოვრებთა საარჩევნო უფლების გაფართოვება. („ნ. დ.“).

◆ ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პობრინეცში (ხერსონის გუბერნია) მობილიზაცია გამოცხადდა და ომში წასულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებს შემწეობა აქამდე არ მიუღიათ. ვინ იცის, როდის-ღა მიიღებენ! ყოველ დღე ხედავთ ქალაქის გამგეობაში დიდძალ დედაკაცებს თავიანთ ბავშვებით ხელში. ესენი მოსულან შემწეობის მისაღებად და პასუხად მხოლოდ „ხვალ მოდით“-ო ესმით. (რუს. ვედ.)

◆ კიევის ერთ გაზეთში („კიევსკიე ოტკლიკი“) შემდეგი შენიშვნაა დაბეჭდილი იმ საჯარო ლექციის შესახებ, რომელიც პრ. ს. ბულგაკოვს უნდა წაეკითხა: „საჯარო ლექცია პრ. ბულგაკოვისა ჩვენში ალბად, აღარ შესდგება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლექცია ორჯელ არის წაკითხული იალტასა და პეტერბურგში ადესისა და პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა ნებართვით, კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ვ. ბელიაევი ლექციის წაკითხვის ნებას არ იძლევა, სანამ სრულ ტექსტს არ წარუდგენენ. ამაზედ კი პრ. ბულგაკოვი უარს ამბობს. ეს ლექცია უკვე დაბეჭდილია „ნოვი ვეკ“-ის უკანასკნელ წიგნში („რ. ვედ.“).

◆ სენატის განკარგულებით, თუ ლომბარდი დაჰკარგავს ან გააფუჭებს დაგირავებულ ნივთს, გადაიხდის ამ ნივთის ნამდვილ ღირებულობას. აქამდე კი ლომბარდი პასუხს აგებდა იმდენად, რამდენადაც დაფასებული იყო ნივთი.

◆ 31 ოქტომბერს ატკარსკზე გაუვლია რუსეთის პოლონეთიდან მომავალ სათადარიგო ჯარის კაცებს. რადგან აქ დიდხანს გაჩერებულა მატარებელი, ყველა ჯარის კაცები ქალაქში წასულან სანოვაგის საყიდლად. დუქნებში ბევრი შედიოდა თურმე ერთად და ვაჭრებს თავი აღარ ჰქონდათ ყური ეგდოთ, ვის რა და რამდენი მიჰქონდა; იძლეოდნენ გროშებს და მიჰქონდათ მანეთების. ერთმა ვაჭარმა სცადა არ შეეშვა ჯარის კაცები დუქანში, მაგრამ ამათ აგურით ჩაუმტვრიეს ფანჯრები და ძალით შევიდნენ. ბაზარში გარს შემოეხვივნენ ნამცხვრებით მოვაჭრე დედაკაცებს და სულ დაიტაცეს კრენდილები და კალაჩები. („ნოვ.“).

◆ ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეჰკითხვია საერო განათლების სამინისტროს, შეიძლება თუ არა მიეცეს უმაღლეს შინა მასწავლებლის წოდება და უფლება გიმნაზიის კურსის საგნების სწავლებისა იმათ, ვისაც იურიდიული ფაკულტეტი გაუთავებია ან სხვა ისეთი ნაწილი, რომელშიაც არ შედის სასწავლებლად არჩეული საგანი, როგორც სპეციალური. სამინისტროს უპასუხნია, რომ უმაღლეს შინა-მასწავლებლის უფლება მიეცემათ ასეთ პირებს მხოლოდ იმ საგნების შესახებ, რომლებშიაც კარგი ნიშანი მიუღიათ უმაღლეს სასწავლებლის გათავების დროსაო.

◆ ქ. რიგაში 25 ოქტომბერს უნდა განეხილათ ოლქის სასამართლოში ერთი საქმე. პოლიციას წინ-და-წინვე შეეტყო, რომ დემონსტრანტებს განზრახვა ჰქონდათ უწესოება მოეხდინათ სასამართლოს შენობასთან, და შესაფერი ღონისძიებაც იქნა მიღებული. როცა დემონსტრანტებმა ეს დაინახეს, დაიშალნენ და ისევ თავი მოიყარეს „თეატრის ბულვარზე“, რომ აქედან პოლიციის სამმართველოსაკენ წასულიყვნენ. აქ ასტეხეს დიდი ხმაურობა, დაიწყეს ქვებისა და რევოლვერების სროლა და სამმართველოს ფანჯრები ჩალეწეს. ამასთანავე ბევრი პროკლამაცია მიაბნ-მოაბნიეს. ეს ამბავი სულ რამდენსამე წამს გაგრძელდა; დემონსტრანტები თავისით დაიშალნენ და ქუჩაზე მხოლოდ ცნობის-მოყვარენი დარჩნენ. („პეტ. ვედ.“).

კავკ. მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალი მალამა

დღეს, 17 ნოემბერს, მოელიან ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწედ დანიშნულს გენერალ-ლეიტენანტს ი. დ. მალამას.

გენერალი მალამა დაიბადა 1841 წელს, მაშასადამე ამ ჟამად 64 წლის კაცია. პოლტავის კადეტთა კორპუსში სწავლის დამთავრების შემდეგ, მალამა შევიდა კონსტანტინეს სასწავლებელში, ხოლო შემდეგ საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიაში, სადაც სწავლა დაამთავრა 1861 წელს და ამავე წელს სამსახურში შევიდა. მონაწილეობა მიიღო 1869, 1871 და 1872 წლების ომებში, აგრეთვე ოსმალეთის უკანასკნელ ომში. 1877 წელს პოლკოვნიკობა მიიღო, 1887 წელს გენერალ-მაიორობა. 1888 წელს დაინიშნა ყუბანის ოლქის უფროსის თანაშემწედ, 1890 წელს კიევის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, ხოლო 1892 წელს—ყუბანის ოლქის უფროსად. მას აქედ მთავარ-მართებლის თანაშემწის თანამდებობაზე დანიშვნამდე გენერალ მალამას ეს თანამდებობა ეჭირა.

გენერალი მალამა.
მთავარმართებლის ახალი თანაშემწე

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

16 ნოემბერი

მუკდენი, 16 ნოემბერი (საკუთ. კორ.). 14 ნოემბერს საპიორებმა აიფეთქეს რედუტი პუტილოვის მთის წინ. დღეს გათავდა ცინხენჩენის ბრძოლა; ნახეს 230 მოკლული იაპონელი მესამე სარეზერვო ბრიგადისა, ბევრი თოფი ძველის სისტემისა, სხვა-და-სხვა იარაღი და ჭრილობის შესახვევი მასალა.—ის ხმა რომ პორტ-არტურს ალყა ახსნესო და კუროკის მაგიერ პრინცი სანვანე დანიშნესო, ჯერ ოფიციალურად არ მტკიცდება.

ჩიფუ, 15 ნოემბერი (რეიტ. სააგ.). კუროპატკინმა გაიჩინა ახალი ავტომობილი 20 ცხენის ძალისა; ეს ავტომობილი შეძლებას აძლევს დიდის სისწრაფით გაიაროს ჯარის საბრძოლი ფრონტი, რომელიც 25 მილზეა გაჭიმული. ავტომობილის საქმის ექსპერტი რავუარი, რომელიც მუკდენიდან დაბრუნდა სამი კვირის იქ ყოფნის შემდეგ, ამბობს, რომ გენერალ კუროპატკინმა გამოსთქვა სურვილი 20 ახალ ავტომობილის შეძენისა საჭიროების დროს სამხედრო მასალის სასწრაფოდ გადასატანად. ამ ავტომობილით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ ზამთარში, რადგან ამ დროს მანჯურიის გზები ძალიან კარგია. ჩინელები ცრუმორწმუნეობის შიშით უცქერიან ავტომობილით მიმომსვლელ კუროპატკინს, რავუარის სიტყვით, ორივე ჯარი ერთი მეორის პირდაპირ სდგას და სამ-სამი წყება სიმაგრეები აქვთ. ორივე ჯარი მეტ წილად მიწურებში სცხოვრობენ, ტრანშეების უკან ამ მიწურებში თბილა მაშინაც კი, როცა არ ათბობენ. როცა თოვლი ფარავს ტრანშეების წინ დაყრილ მიწას, თეთრი დათვების შთაბეჭდილებას ახდენენ, რომელნიც ერთი-მეორეს უპირებენ თავდასხმას. სულიერი მდგომარეობა რუსის ჯარისა მშვენიერია. ჯარის კაცები უსაზღვროდ ენდობიან თავის უფროსებს და იმედი აქვთ, რომ კუროპატკინი ამ ზამთარ წაიყვანს მათ იერიშით. ახლა რუსებს 300.000 ჯარის კაცი ჰყავთ. დონის ყაზახები მიმხვედრნი, მამაცნი და მარჯვენი არიან; მათი ცხენები ლამაზი და ღონივრები არიან. მუკდენში მხოლოდ რამდენიმე ასი დაჭრილია, ხარბინში კი 30,000. რავუარს გაუვლია ციმბირის რკინის გზა, რომელზედაც, მისის სიტყვით, ძალიან დიდი მოძრაობაა და მაინც მოძრაობის შეფერხება არ არის. გზის გაყოლებაზე მუკდენიდან ხარბინამდე სურსათით სავსე საწყობებია, რომლისათვისაც ჯერ თითქმის არ უხლიათ ხელი, რადგან აქამდე ჯარი მეტწილად ადგილობრივ ნაშოვნ სურსათით იკვებება.

ჩიფუ, 15 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსეთის არტილერია მუკდენთან ახლა უფრო დაახლოვებულია და საშიშია მტრისათვის, ვიდრე წინათ; ახლა უფრო ოსტატურათ მოქმედებს და მალავს მტრისგან, რომლის არტილერია ამ ბოლო დროს ცოტა შესუსტდა. საზოგადოთ ფიქრობენ, რომ პორტ-არტური გაუმაგრდება იმ ჟამამდე, სანამ არ მოვა ბალტიის ესკადრა, რომელზედაც დიდ იმედს ამყარებენ. კუროპატკინი ცოტას ლაპარაკობს. მხოლოდ ახლა გამოსთქვა თავისი აზრი რავუართან, რომ სულ ყველაფერი მის სურვილის თანახმად სწარმოებსო. ცხოვრებით ის ვაგონში ცხოვრობს და მთელი ღამე სინათლე აქვს, რის გამო გაჩნდა ლეგენდა, ვითომ მას არასოდეს არა სძინავს. აფიცრებსაც არ უკვირთ, როდესაც კუროპატკინი მათ ღამე ყოველ დროს იბარებს. იგი ისვენებს მხოლოდ სადილობის დროს, როდესაც მიიპატიჟებს ხოლმე მრავალ აფიცრობას. კუროპატკინი სვამს მხოლოდ მადნეულ წყლებს. რავუარის აზრით, კუროპატკინი არას დროს არ დაიხევს მუკდენისკენ, თუ ძლიერ არ დამარცხდა. რავუარი ფიქრობს, რომ რუსები გამარჯვებულები გამოვლენ მომავალ ბრძოლიდან.

პრაულის კონცხი, 15 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). „ლლოიდ“-ს ატყობინებენ, რომ დღეს გაიარა სამმა სამხედრო გემმა, ალბად რუსისამ, მათ შორის იყო პირველ რანგის კრეისერი. მეორე თავისუფალ ფლოტის კრეისერი და მესამე, მესამე კლასის კრეისერი. სამივეს სამ-სამი საორთქლე ჰქონდათ და დასავლეთისკენ მიდიოდნენ.

მუკდენი, 14 ნოემბერი („რეიტერი“). „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი, რომელიც რუსეთის აღმოსავლეთ არმიაში იმყოფება, იუწყება, რომ იაპონელებმა იერიში მიიტანეს სინანჩენთან, დალინის მთაგრეხილის ახლოს მდგარ რუსის რაზმებზე და სამის დღის ბრძოლის შემდეგ უკუ-ქცეულ იქმნენ, თუმცა ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. იაპონელებმა ეს-ეს არის დასდგეს პოზიციებზე საალყე ზარბაზნები, რომელთაც მეტად შეაფერხეს და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდეს რუსები.

კაპშტადტი, 13 ნოემბერი („რეიტერი“). იტყობინებიან, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ნახშირით იტვირთება სვაკოპმუნდთან.

პარიზი, 16 ნოემბერი („ჰავასის სააგ.“). „ეკო დე პარი“-ს მიერ გამართულ ხელის მოწერიდან სტესელისათვის საპატიო ხმლის მისართმევად შემოვიდა ჯერ 4000-მდე. (?).

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

16 ნოემბერი.

პეტერბურგი, 16 ნოემბერი. პეტერბურგში ხელმოწერილი დეკლარაცია რუსეთისა და ინგლისის მთავრობებისა შესახებ იმ კომისიისა, რომელიც პარიზში უნდა შეიკრიბოს მოკლე ხანში გულის ინციდენტის გამო, ნიშნავს ხუთ კომისარს; ამათგან ორს ნიშნავს ინგლისისა და რუსეთის ფლოტის უმაღლესი პირები, საფრანგეთი და ამერიკა გამოგზავნის თითო წარმომადგენელს, მეხუთეს ირჩევენ ეს ოთხნი, და თუ ვერ შეთანხმდნენ, მას ნიშნავს ავსტრიის იმპერატორი. გარდა ამისა ორივე მხარეს ეყოლება თითო იურისკონსულტი სათათბირო ხმით და თითო აგენტი კომისიის შრომაში მონაწილეობის მისაღებად; ამ კომისიამ უნდა მოახდინოს გამოძიება, შეადგინოს მოხსენება შესახებ ინციდენტისა, გამოარკვიოს პასუხის მგებლობა და ხარისხი გაკიცხვისა, რომელიც უნდა ხვდეს წამნაშავეთ. დადგენილება ხმის უმეტესობით უნდა მოხდეს. საჭირო ხარჯი საქმის წარმოებისა და კომისიის შენახვისა უნდა გაიყონ ინგლისმა და რუსეთმა.—დამსახურებული პროფესორი სამხედრო აკადემიისა გენერალ-მაიორი ალექსეევი დაინიშნა მანჯურიის არმიის გენერალ-კვარტირმეისტრად, გენერალ-ლეიტენანტი მარტსონი—მანჯურიის მესამე არმიის ჯარის საველე შტაბის უფროსად, გენერალ-ლეიტენანტი ხარკევიჩი ამავე თანამდებობაზე მანჯურიის პირველ არმიაში.

ბერლინი, 15 ნოემბერი. აქ ამბავი მოვიდა ჩიფუდან, რომ სუნშუშანის ფორტებზე მიტანილი იერიში 13 ნოემბერს, უკუქცეულ იქნაო.

ჩანხიამუტუნი, 16 ნოემბერი. მოქმედება იაპონელებისა წინააღმდეგ ჩვენის რაზმისა მარცხენა ფრთაზე, ცინხოჩენის ახლო, არ შეწყვეტილა. 15 ნოემბერს ისინი უკვე აღარ მოდიოდნენ ჩვენკენ და ინიციატივა ჩვენი გახდა. 14 ნოემბერს დილით იაპონიის ქვეითა ჯარი წამოვიდა ცინხოჩენის წინაღმდეგ, მაგრამ ჩვენმა სროლამ შეაჩერა. ამოვარდა ქარიშხალი, სროლა სამ საათამდე შესწყდა; ამ დროს გამოიდარა და აღმოჩნდა, იაპონელების რაზმი უფრო ჩვენი რაზმის მარჯვენა ფრთას უვლის. ჩვენმა ჯარებმა ასტეხეს თოფისა და ზარბაზნების სროლა. საღამოს ათ საათზე იაპონელები უკუ ვაქციეთ. 15 ნოემბერს დილიდინ სიწყნარე იყო. ნაშუადღევის შემდეგ იაპონელებმა ნელა დაიხიეს ცინხოჩენიდან, რუსები უკან გაჰყვნენ და იაპონელებმაც დიდი სროლა აუტეხეს დაჭერილ სოფლიდან. ჩვენმა არტილერიამ სროლა დაუწყო ამ სოფელს და იაპონელებიც იძულებული გახდნენ მიეტოვებიათ იგი. 15 ნოემბერს ჩვენ ვნახეთ და დავასაფლავეთ 230 გვამი იაპონელისა. დაგვრჩა ბევრი თოფი და ამუნიცია. იაპონელებს სათბური აცვიათ, პალტო აქლემის ყელისა და ბეწვის საყელოიანი.

მუკდენი, 15 ნოემბერი. მეტი წილი დაჭრილ იაპონელებისა ინკოუზე მიდის; აქ მათ საერთაშორისო საავადმყოფოში უვლიან და შემდეგ საგანგებო კომისია ჰგზავნის მათ იაპონიაში საავადმყოფო გემებზე. საშუალებანი და გემები ჩინეთისა და ამერიკისაა. კამპანიის დაწყებისას ჩვენ გვაძლევდნენ მათ, მაგრამ უარი მიიღეს.

ჩიფუ, 15 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, იმ გემების რიცხვი, რომელნიც პორტ-არტურთან იმყოფებიან, უკანასკნელ დროს შესამჩნევად შემცირდა.

სუეცი, 15 ნოემბერი. „დეილი ექსპრეს“-ი იტყობინება, რომ ფოლკორზამის ესკადრისათვის შემდეგ გასაჩერებელ ადგილი დანიშნულია ჯიბუთი. რუსის მთავრობას დაუქირავებია სამი გემი, რათა თვალ-ყური უგდოს გზა-გზა რუსის ესკადრას. ფრანგული იახტა „ფიორონტინა“ აქ იმყოფება ბალტიის ესკადრის მეორე რაზმის მოლოდინში.

კაპშტადტი, 15 ნოემბერი. ბალტიის ესკადრის რაზმი მოვიდა სლოკომუნდში, სადაც ნახშირს დაუდებენ. კონცხს ესკადრამ 12 ნოემბერს უნდა გაუაროს.

შერბურგი, 15 ნოემბერი. მთავრობამ ნება მისცა რუსის ნაღმიან გემებს შეაკეთონ კონდონსატორები. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ შეკეთებას ერთ დღე-ღამეში გაათავებენ. ნაღმიანი გემები ხვალ საღამოს წავლენ.

ჩიფუ, 16 ნოემბერი. ჩინელების სიტყვით, დალნიში ყოველ დღე მოდიან გემები იაპონიიდან ჯარებით, ამუნიციით და სურსათით; მოიტანეს აგრეთვე 400 ვაგონი რკინის გზისა. რაც ზარალი მოუვიდა 3 დივიზიას პორტ-არტურთან, ახლა შევსებულია. პირველი დივიზია მტრედის ბუხტის პირდაპირაა, მეცხრე—სოფელი უუცინშიინის პირ-და-პირ და მეთერთმეტე—დაგუშანთან. ყველა იაპონელ ჯარების რიცხვი 60 ათასამდე ადის, ზოგ ფორტების შტურმი ხშირად ახლდება და ამის მიხედვით დალნიში მიჰყავთ დაჭრილები და მოკლულები. სროლა არ სუსტდება. მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ ახლო თვეების განმავლობაში პორტ-არტურს ვერ აიღებენ. დალნი სავსეა ჯარებით და ყოველ დღე პორტ-არტურისაკენ იგზავნება ორი ან სამი ათასი ჯარის კაცი. ნავთსადგურში დგას 6 მეორე ხარისხოვანი გემი და 30 ტრანსპორტი. ახლა-ხან იაპონელებმა დაიჭირეს 4 ჩინელი პორტ-არტურში მიწერილ წერილებით; ეს ჩინელები და მათი თანამოაზრენი, სულ 11 კაცი, სიკვდილით დასაჯეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	47,80
პარიზისაზე „	$37,52\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	$6-7\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$89\frac{3}{8}$
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	$424\frac{1}{2}$
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	322
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$272\frac{1}{2}$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	$244\frac{1}{2}$ „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვადიპროვის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
   ღია არის დილით 10—2 საათ
   საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ. ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკუ[illegible] ავლაბრისა. კახ[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის.

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასა.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.23)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სა[illegible] ახლოს. (წ.—176—19)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა [illegible] ბატონიშვილისა—[illegible] ბაზანისა.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოლტიისა	—	25
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	35
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფ. გ. შტერბაუშისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხუთი რჩეული, თარგ. სომხურიდან ბ. ჭყონდელისა	1	

ექიმის შვინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.

✦ კოლოფები წითელ ფერის ✦

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—13)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariat Rupestris 101^{14}.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—3)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრები

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible]ლებით და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლ. აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილი'ს და 5—12 ს. საღ. (88—52—71)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელშეუხებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და ერთგვარ საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სხვადა პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილის'ია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—47)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—185)

Довolено цензурою, 16 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბისა“.

Электроп. „Груз. Изд.Т—ва“